

სიყვარულისა და ურთიერთობების თავისებურებების კვლევა ქართველ ახალგაზრდებში

მარიამ ტოლიაშვილი, მაგისტრანტი
 მარიამ ნადირაძე, მაგისტრანტი
 ეკატერინე ხუროშვილი, მაგისტრანტი
 ციცი ლომიძე, მაგისტრანტი
 ნაზი ფარსადანიშვილი - ასისტენტ-პროფესორი
 ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 0179 თბილისი, საქართველო

ანოტაცია

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქართველი ახალგაზრდების ფსიქოსოციალური თავისებურებების შესწავლა ერიქსონის თეორიაში აღწერილი ინტიმურობა-იზოლაციის კრიზისის პერსპექტივიდან. ძირითად საკვლევ კონსტრუქტებს შეადგენდა მარტობა, თვითშეფასება, სიყვარული და სოციალური მხარდაჭერა. კვლევის შედეგად, კორელაციური კავშირები დადგინდა თვითშეფასებას, მარტობასა და სიყვარულს შორის. აგრეთვე, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები გამოვლინდა სოციალური მხარდაჭერის სხვადასხვა განზომილებას, თვითშეფასებასა და მარტობას შორის. საქართველოში მსგავსი კვლევების ჩატარება მნიშვნელოვანია ახალგაზრდების სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლისა და მათი ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხელშემწყობი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ახალგაზრდები, სიყვარული, მარტობა, სოციალური მხარდაჭერა.

1. შესავალი

განვითარების ფსიქოლოგიისა და ფსიქოლოგანალიტიკოსი ერიქსონის ფსიქოსოციალური განვითარების 8 სტადიის თანახმად, ახალგაზრდების მთავარი ამოცანა (კრიზისი) მეექვსე სტადიაზე (ადრეული მოზრდილობა) არის ინტიმურობა - იზოლაცია. ამ სტადიაზე მყოფი ახალგაზრდისთვის ცენტრალური შეკითხვა არის - როგორ შემძლია მიყვარდეს?!

ახალგაზრდები მიიღებენ ღრმა, ხანგრძლივი ურთიერთობების ჩამოყალიბებისკენ. ისინი უპირისპირდებიან მარტობისა და იზოლაციის დილემას. ამ სტადიის წარმატებით დასრულების შემდეგ, მათ ნაყოფიერი და ჯანმრთელი ურთიერთობები უყალიბდებათ, ხოლო კრიზისის შემთხვევაში რჩებიან მარტობასა და იზოლაციაში. შესაბამისად, აქვთ პრობლემები ხანგრძლივი ურთიერთობების ჩამოყალიბებისას. ერიქსონის ფსიქოსოციალური განვითარების თეორიის (1963) თანახმად, ახალგაზრდები, რომლებიც ინტიმურობა-იზოლაციის სტადიის ამოცანას წარმატებით ვერ ართმევენ თავს, მეტია ალბათობა, რომ განიცდიდნენ მარტობასა და მიდრეკილნი იყვნენ დეპრესიისკენ.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია, განიხილოს ერიქსონის ფსიქოსოციალური განვითარების თეორიაზე დაყრდნობით, ახალგაზრდებში არსებული ისეთი ფსიქოსოციალური მდგომარეობები, როგორცაა: მარტობა, თვითშეფასება, სიყვარული და სოციალური მხარდაჭერა.

მოცემული კვლევის სამიზნე ჯგუფად 18-33 წლის ახალგაზრდები (18-33 წლის) შეირჩნენ.

კვლევის თეორიული ჩარჩო

ერიქსონის სტადიური მოდელის (1963) მიხედვით, როდესაც მოზრდილი გარკვეულ სავარაუდო პასუხს მიიღებს კითხვაზე „ვინ ვარ მე?“, ის ფსიქოსოციალურად მზად არის ცხოვრების მეექვსე სტადიაზე გადასასვლელად, რომელსაც ინტიმურობა-იზოლაცია ეწოდება (ხეჩუაშვილი, 2006). ერიქსონის მიხედვით, ფსიქოლოგიური ინტიმურობა მეორე ადამიანთან ვერ წარმოიქმნება მანამ, ვიდრე ინდივიდის იდენტობა არ ჩამოყალიბდება.

კვლევის ფარგლებში ინტიმურობის და პარტნიორული სიყვარულის საზომად შეირჩა სტენბერგის ტრიანგულარული სიყვარულის მოდელი, რომელიც 1980-იანი წლების ბოლოს შემუშავდა. ამ თეორიის თანახმად, ადამიანი სხვადასხვანაირად აფასებს ურთიერთობის ინტიმურობის, ვნებისა და ერთგულების კომპონენტებს. ფუნდამენტური კონცეფცია მყარდება იმაზე, თუ რომელი კომპონენტი უფრო ჭარბობს ორ ადამიანს შორის რომანტიკული ურთიერთობისას (Sternberg, 1986). სტენბერგის მოდელი არა მხოლოდ ინდივიდებს შორის რომანტიკულობის გასაზომად შეიძლება გამოიყენებოდეს, არამედ იგი გარკვეული ინტერპერსონალური ურთიერთობის აღსაწერი საზომიცაა.

ინტიმურობა გულისხმობს სიახლოვეს, მიჯაჭვულობის შეგრძნებას. ვნება მოიცავს გრძნობებსა და სურვილებს, რომლებიც იწვევს ფიზიკურ მიზიდულობას, რომანტიკას და სექსუალურ მოთხოვნილებებს. ვალდებულება/ერთგულება კი მოიცავს გრძნობებს, რომლებიც უკავშირდება პარტნიორთან ურთიერთობაში დარჩენას და საერთო მიზნებისაკენ სწრაფვას (Sternberg, 1986). ვალდებულება გულისხმობს ურთიერთობის კოგნიტურ შეფასებას და უკავშირდება მისი შენარჩუნების განზრახვას მაშინაც კი, თუ ურთიერთობა დგას პრობლემების წინაშე (Gray, 2019).

ერთი კომპონენტის არსებობა ან ორი ან მეტი კომპონენტის კომბინაცია ქმნის შვიდი სახის სასიყვარულო გამოცდილებას. ამ ტიპის სიყვარული შეიძლება განსხვავდებოდეს ურთიერთობის დროსაც. მაგალითად, ურთიერთობა შეიძლება დაიწყოს, როგორც ვნებიანი სიყვარული და გადაიზარდოს რომანტიკულ სიყვარულში.

რაც უფრო მაღალია ინტიმურობა, სუბიექტი უფრო მეტ კმაყოფილებას განიცდის პარტნიორთან ურთიერთობაში. ინტიმური ურთიერთობა აიძულებს სუბიექტს ჰქონდეს ემოციური მიჯაჭვულობა და სიახლოვე პარტნიორთან; მაგალითად, მოსმენა განსჯის გარეშე (Cassepp-Borges et al., 2023). ვნება დაკავშირებულია რომანტიკულ ურთიერთობებში კმაყოფილებასთან, რადგან რაც უფრო მაღალია ვნება, სუბიექტი უფრო მეტ კმაყოფილებას განიცდის პარტნიორთან ურთიერთობაში. ფიზიკური შეხება არის ნიშანი იმისა, რომ ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ და გვაინტერესებს ჩვენი პარტნიორი (Cassepp-Borges et al., 2023; Nabila & Gunawan, 2023).

სტენბერგის მიხედვით, ვნებას აქვს ყველაზე მაღალი მნიშვნელობა, რადგან ვნების კომპონენტი არის კომპონენტი, რომელიც ყველაზე სწრაფად ვითარდება ურთიერთობის დასაწყისში. ვნება, ასევე, მჭიდროდ არის დაკავშირებული ინტიმურობის კომპონენტთან, რადგან სუბიექტს არა მხოლოდ ფიზიკური მიზიდულობა აქვს პარტნიორის მიმართ, არამედ ინტერესდება არაფიზიკური ასპექტებით, პარტნიორთან აქვს ემოციური სიახლოვე, თვისებებისა და ხასიათის

თავსებადობა, ურთიერთგაგება, ერთგულება და ნდობა (Brehm & McCrae, 2014; Nabila & Gunawan, 2023).

აღსანიშნია, რომ არსებობს გარკვეული სტიგმა კოლექტივისტურ კულტურებში, თითქოს ჰომოსექსუალ წყვილებში, მათი ურთიერთობა ემყარება მხოლოდ ვნებას, განსხვავებით ჰეტეროსექსუალ წყვილებისა, რომელთა რომანტიკულ ურთიერთობაში ვნებითი კომპონენტი არ იკვეთება, როგორც წამყვანი ფაქტორი (აღდგომელაშვილი, 2018).

ერიქსონის განვითარების მეექვსე სტადიის მიხედვით, არსებული კრიზისის წარუმატებლად გადალახვის შემთხვევაში, ინდივიდი იზოლირდება. ტერმინი „სოციალურად იზოლირებული“ აღწერს ისეთ ინდივიდებს, რომლებიც ჯგუფისა ან თემისგან განცალკევებულნი არიან. ადამიანები, რომლებსაც თითქმის არ აქვთ სოციალური ურთიერთობები, სოციალურად იზოლირებულნი ეწოდებათ. არსებობს კონტინუუმი, რომლის ერთ ბოლოში სრული სოციალური იზოლაციაა, მეორეში კი ძლიერი სოციალური კავშირები, სადაც ადამიანი სრულიად ინტეგრირებულია თემში და აქვს ახლო პიროვნული ურთიერთობები. სოციალური იზოლაცია მოიცავს როგორც თვისებრივ, ასევე, რაოდენობრივ განზომილებებს. რაოდენობრივი მიდგომა ყურადღებას პიროვნების მიერ შენარჩუნებულ სოციალურ კავშირებზე ამახვილებს; ამისგან განსხვავებით, თვისებრივი მიდგომა ყურადღებას აქცევს სოციალური კავშირების რაობას, მაგალითად, სიახლოვის განცდას.

მარტოსულობა ის „უსიამოვნო გამოცდილებაა, რომლის დროსაც ადამიანის სოციალური კავშირების ქსელი რომელიღაც მნიშვნელოვანი კუთხით არის ნაკლოვანი, იქნება ეს რაოდენობა თუ ხარისხი“ (Perlman & Peplau, 1981). ეს მოიცავს ისეთ სიტუაციებსაც, რომლის დროსაც არსებული ურთიერთობების რაოდენობა იმაზე მცირეა, ვიდრე ეს პიროვნებას სურს, ან, ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხარისხი და ინტიმურობის კომპონენტი ნაკლოვანია. მარტოსულობა ხანდახან სოციალური იზოლაციის ტერმინის ქვეშაც მოიაზრება (Cacioppo et al., 2009). თავის მარტოსულად გრძნობას მოჰყვება სიცარიელისა და უარყოფის გრძნობები. მარტოსულობა, სოციალური იზოლაციისგან განსხვავებით სუბიექტური კონსტრუქტია. ეს არის დისბალანსის უარყოფითი გამოცდილება რეალიზებული და სასურველი ურთიერთობების რაოდენობასა და ხარისხს შორის (Russell et al., 2012). კულტურათაშორისი სხვაობა და კოგნიტური დისონანსის მიდგომის გამოყენება გვეხმარება გავიგოთ, რომ ზოგიერთი ადამიანი არ გრძნობს თავს მარტოსულად მცირე სოციალური კავშირების ქონისას, რადგან ისინი თავადვე იწესებენ სოციალური ურთიერთობის რაოდენობისა და ხანგრძლივობის სტანდარტს. ასეთი პიროვნების მაგალითი არის ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ინდივიდუალისტურ კულტურაში, საკუთარ გადაწყვეტილებებს ანიჭებს უპირატესობას და სხვების აზრებისგან დამოუკიდებლობას. ამის საპირისპიროდ, ზოგიერთს შეიძლება ჰქონდეს არარეალისტურად მაღალი სტანდარტები და მიუხედავად ბევრი და ხარისხიანი კავშირებისა, თავს მაინც მარტოსულად გრძნობდეს (Tilburg & de Jong Gierveld, 2023).

სოციალურ იზოლაციასა და მარტობას ნეგატიური გავლენა აქვს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ჰოლტ-ლუნსტადისა და კოლეგების (2015) კვლევამ აჩვენა, რომ ორივე უკავშირდება ნაადრევი სიკვდილის გაზრდილ რისკებს.

სოციალური მხარდაჭერა ფართოდ გამოიყენება იმ მექანიზმების აღწერისთვის, რისი მეშვეობითაც ინტერპერსონალური ურთიერთობები ეხმარება ადამიანებს გარემო პირობებთან ადაპტაციაში (Cohen & Wills, 1985). სოციალური გარემო, ოჯახი,

მეგობრები და პირადი ურთიერთობები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალგაზრდების სოციალური იდენტობის ჩამოყალიბებაში. სოციალურ მხარდაჭერას შეუძლია შეამციროს სტრესი, შესაბამისად, გარემო სტრესორები, როგორცაა თუნდაც იზოლაციის განცდა, შეიძლება სუბიექტის მიერ საერთოდ არ აღიქმებოდეს სტრესულად, სოციალური მხარდაჭერის არსებობის შემთხვევაში (Cohen et al., 2004).

ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონსტრუქტს, რომელიც ახალგაზრდების სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების მიმოხილვის დროსაა საჭირო, თვითშეფასება წარმოადგენს. თვითშეფასება, ძირითადად, ეხება ინდივიდის საერთო პოზიტიურ შეფასებას საკუთარი თავის შესახებ (Gecas, 1982; Rosenberg, 1990; Rosenberg, 1995). იგი შედგება ორი განსხვავებული განზომილებისგან, კომპეტენციისა და ღირებულებისგან (Gecas, 1982; Gecas & Schwalbe, 1983). კომპეტენციის განზომილება (ეფექტურობაზე დაფუძნებული თვითშეფასება) ეხება იმ ხარისხს, რომლითაც ადამიანები საკუთარ თავს თვლიან ქმედუნარიანად; ღირებულების განზომილება (ღირებულებაზე დაფუძნებული თვითშეფასება) ეხება იმ ხარისხს, რომლითაც ინდივიდები გრძნობენ, რომ ღირებულნი არიან (Tilburg & de Jong Giervel, 2023).

შესაბამისად, ზემოთ წარმართული მსჯელობიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა შემდეგი ჰიპოთეზები.

კვლევის ჰიპოთეზები

H1: მათ, ვინც მარტოსულად გრძნობს თავს, აქვთ უფრო დაბალი თვითშეფასება, ვიდრე მათ, ვინც მარტოსულები არ არიან.

H2: ჰეტეროსექსუალი ადამიანებისა და არა ჰეტეროსექსუალი ადამიანების სიყვარულის ტენდენციები არ განსხვავდება სტენბერგის ტრიანგულარული სიყვარულის სკალის არც ერთ დონეზე.

H3: ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს აქვთ სტენბერგის სიყვარულის ტრიანგულარულ სკალაზე სკალაზე უფრო მაღალი მაჩვენებელი ვიდრე ურთიერთობაში არ მყოფებს.

H4: მაღალი ოჯახის სოციალური მხარდაჭერა, მეგობრების სოციალური მხარდაჭერა და თვითშეფასება ამცირებს მარტობის განცდას.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა. მონაცემები შეგროვდა ონლაინ გამოკითხვის მეშვეობით.

კვლევის მონაწილეები: კვლევაში მონაწილეობა მიიღო 192-მა რესპონდენტმა.

- გენდერულ ჭრილში გამოიყო სამი ტიპის იდენტობა: ქალი, კაცი და არაბინარული. განაწილების მიხედვით 69.8% ($N=134$) იყო ქალი, კაცი - 28.6% ($N=55$) და 1.6% - არაბინარული ($N=3$).
- რესპონდენტთა ეროვნების პროცენტული განაწილებით, ქართველებს წარმოადგენენ 97.9% ($N=138$); სომეხს - 1.6% ($N=3$); ოსს - 0.5% ($N=1$).
- საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, დედაქალაქში ცხოვრობს 90.1% ($N=173$); სხვა ქალაქში - 6.3% ($N=12$); სოფელში კი - 3.6% ($N=7$).
- რელიგიური დენომინაციის მიხედვით, რესპონდენტთა 75% მართლმადიდებელი ქრისტიანია ($N=135$); ისლამის წარმომადგენელია .6% ($N=1$); სომხური სამოციქულო ეკლესიიდან რესპონდენტთა 1.1% ($N=2$); იუდაიზმს აღიარებს .6% ($N=1$); არცერთს - 20.6% ($N=37$); აგნოსტიკოსია 2.2% ($N=4$). რესპონდენტთა 6.3%-მა კი პასუხზე უარი განაცხადა ($N=12$).

- განათლების მიხედვით, რესპონდენტთა 1.6% -ს არასრული საშუალო განათლება აქვს ($N=3$); სრული საშუალო განათლება - 14.1%-ს ($N=27$); არასრული უმაღლესი განათლება - 40.6%-ს ($N=78$); პროფესიული - 1%-ს ($N=2$); ხოლო უმაღლესი - 42.7%-ს ($N=82$).
- დასაქმებულია გამოკითხულთა 63.5% ($N=122$); უმუშევარი კი 36.5% ($N=70$).
- სექსუალური ორიენტაციის მიხედვით, ჰეტეროსექსუალია 77.4% ($N=144$); გეი - 2.7% ($N=5$); ლესბოსელი - 2.2% ($N=4$); ბისექსუალი - 16.1% ($N=30$); ასექსუალი - 1.6% ($N=3$). პასუხზე უარი განაცხადა 3.1%-მა ($N=6$).
- ამჟამად ურთიერთობაში ყოფნა-არ ყოფნის მიხედვით, „დიახ“ პასუხი განაცხადა 46.9%-მა ($N=90$); „ვყოფილვარ, მაგრამ აღარ ვარ“ - 27.1%-მა ($N=52$); „არ ვარ და არც ვყოფილვარ“ - 26% -მა ($N=50$). ურთიერთობის ხანგრძლივობის მიხედვით, რესპონდენტთა 47.4% ამჟამად არ არის ურთიერთობაში ($N=91$); 3 თვეზე ნაკლები ხანგრძლივობის ურთიერთობაშია 9.4% ($N=18$); 3-6 თვიან ურთიერთობაში - 5.2% ($N=10$); 7-12 თვიან ხანგრძლივობის ურთიერთობაში კი 7.3% ($N=14$); 13-24 თვიან ურთიერთობაში - 12% ($N=23$); 24 თვეზე მეტიან ურთიერთობაში - 18.8% ($N=36$).
- პარტნიორულ ურთიერთობაში ზოგადად ყოფნის ხანგრძლივობის მიხედვით, გამოკითხულთა 29.9% ($N=56$) არ ყოფილა ურთიერთობაში; პასუხი „3 თვეზე ნაკლები“ გასცა 4.7%-მა ($N=9$); 3-6 თვე - 12%-მა ($N=23$); 7-12 თვე - 14.1%-მა ($N=27$); 13-24 თვე - 15.1% -მა ($N=29$); 24 თვეზე მეტი - 25%-მა ($N=48$).

კვლევის ინსტრუმენტები:

1. **რობერტ სტენბერგის სიყვარულის ტრიანგულარული მოდელის სკალა:** რობერტ სტენბერგის სიყვარულის ტრიანგულარული მოდელი (1997) შედგება 15-15 კითხვიანი სამი ბლოკისგან. კითხვარის ორიგინალი ვერსიის ინტიმურობის სკალის *Cronbach's* $\alpha=.91$; ვნების სკალის *Cronbach's* $\alpha=.94$; ერთგულება/ვალდებულების *Cronbach's* $\alpha=.94$ (Passyousofi, 2014). სკალის ქართული ვერსიის შესაქმნელად გამოყენებული იყო თარგმნისა და უკუთარგმანის ტექნიკა; ასევე, სკალის შინაარსობრივი ვალიდობის შემოწმების მიზნით, ჩატარდა ექსპერტული შეფასება. კვლევაში გამოყენებული ინტიმურობის სკალის *Cronbach's* $\alpha=.942$; ვნების სკალის *Cronbach's* $\alpha=.930$; ერთგულება/ვალდებულების $\alpha=.952$; სრული სტენბერგის სკალის (რომელიც მოიაზრებს სამივე კომპონენტის ერთობლიობას) *Cronbach's* $\alpha=.970$.
2. **სოციალური მხარდაჭერის სკალა:** სკალის ორიგინალური ვერსიიდან ჩვენი კვლევისთვის შეუსაბამო დებულებები ამოვაკელით და დავტოვეთ მხოლოდ 4 ქვესკალა: სოციალური მხარდაჭერა ოჯახში (12 დებულება), *Cronbach's* $\alpha=.941$; სოციალური მხარდაჭერა სამეგობროში (10 დებულება) - *Cronbach's* $\alpha=.84$; სოციალური მხარდაჭერა რელიგიურ წრეში (4 დებულება) - *Cronbach's* $\alpha=.85$; სოციალური მხარდაჭერის ნაკლებობა (5 დებულება), *Cronbach's* $\alpha=.677$;
3. **როზენბერგის თვითშეფასების სკალა (1965).** სკალის ადაპტირებული ვერსიის *Cronbach's* $\alpha=.78$ (ნ.სუმბაძე; ა.ქიტიაშვილი; ე.ფირცხალავა; მ.მაისურაძე, 2012). ჩვენს კვლევაში ადაპტირებული ვერსია შეუცვლელად დავტოვეთ და საკვლევი ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე შინაგანი შეთანხმებულობა ახლიდან შევამოწმეთ, რომელიც აღმოჩნდა *Cronbach's* $\alpha=.88$.
4. **მარტოობის სკალის შინაგანი შეთანხმებულობა.** სკალის ადაპტირებული ვერსიის *Cronbach's* $\alpha=.94$ (ნ.სუმბაძე; ა.ქიტიაშვილი; ე.ფირცხალავა; მ.მაისურაძე, 2012). ჩვენს მიერ გამოყენებული მარტოობის სკალის შინაგანი შეთანხმებულობა არის *Cronbach's* $\alpha=.903$.

ცხრილი #1. კვლევაში გამოყენებული საკვლევი ინსტრუმენტების აღწერითი სტატისტიკის მაჩვენებლები.

	N	M	SD	min	Max	skewness	kurtosis	Shapiro-wilk	p
სტენბერგი	181	339.91	50.41	199	405	-.678	-.324	.935	<.05
ინტიმურობა	177	121.32	13.84	84	135	-1.002	.442	.869	<.05
ვნება	188	104.01	23.25	37	135	-.591	-.283	.943	<.05
ერთგულება	173	116.24	16.86	69	135	-.732	-.413	.907	<.05
მარტობა	191	44.31	10.60	20	74	.229	-.399	.989	>.05
თვითშეფასება	191	32.70	6.91	16	45	-.239	-.614	.975	<.05
ოჯახის სოც.მხარ.	192	45.55	11.71	14	60	-.764	-.255	.924	<.05
მეგობრების სოც.მხარ.	139	39.65	5.95	25	50	-.499	-.359	.965	<.05
რელიგიის სოც.მხარ.	192	8.62	4.54	4	20	-.771	-.397	.881	<.05
მხარდაჭერის არ ქონა	187	10.74	3.9	5	20	.440	-.789	.948	<.05

კვლევის ძირითადი შედეგები

ჯგუფთაშორისი განსხვავებები: საკვლევ ცვლადებში გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები სექსუალური ორიენტაციის მიხედვით (იხ. ცხრილი #2).

ცხრილი #2. სექსუალური ორიენტაციის მიხედვით გამოვლენილი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები.

	ჰეტეროსექსუალი			არაჰეტეროსექსუალი			df	t	P	Cohen's d
	n	M	SD	n	M	SD				
თვითშეფასება	144	33.57	6.618	41	30.17	7.263	183	2.838	.005	.042
სოციალური მხარდაჭერა-ოჯახი	144	47.31	11.060	42	39.24	12.050	184	4.075	.000	.083
სოციალური მხარდაჭერა-რელიგია	144	9.63	4.653	42	5.55	2.255	142.903	7.827	.000	.25
სოციალური მხარდაჭერა-მხარდაჭერის ნაკლებობა	141	10.38	3.729	40	12.35	4.173	179	-2.887	.005	.045

სტატისტიკური ანალიზი One way ANOVA-ს ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ისინი, ვინც ურთიერთობაში არიან ($M=358.19$; $SD=50.21$), სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მათგან, ვინც ურთიერთობაში არ არიან, თუმცა ყოფილან ($M=319.96$; $SD=45.84$) და ასევე მათგან, ვინც ურთიერთობაში არ არიან ($M=328.88$; $SD=44.85$), სტენბერგის სიყვარულის ტრიანგულარული მოდელის მიხედვით $F(2; 178) = 11.718$, $p < .001$. $Eta\ squared = .12$, რაც მიუთითებს ეფექტის საშუალო ზომაზე. კონკრეტულად, Post Hoc ანალიზის თანახმად, ურთიერთობაში მყოფი ადამიანების საშუალო ქულა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება ურთიერთობაში ამჟამად არ და არასდროს მყოფი ადამიანებისგან.

სტატისტიკური ანალიზი One way ANOVA-ს ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ისინი, ვინც ურთიერთობაში არიან ($M=123.35$; $SD=14.63$), სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მათგან, ვინც ურთიერთობაში არ არიან, თუმცა ყოფილან ($M=116.47$; $SD=13.13$) და ასევე მათგან, ვინც ურთიერთობაში არ არიან ($M=122.30$; $SD=12.03$), სტენბერგის სიყვარულის ინტიმურობის სკალის მიხედვით $F(2; 174) = 3.930$, $p < .05$. $Eta\ squared = .043$, რაც მიუთითებს ეფექტის მცირე ზომაზე. კონკრეტულად, Post Hoc ანალიზის თანახმად, ურთიერთობაში მყოფი ადამიანების საშუალო ქულა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება ურთიერთობაში ამჟამად არმყოფი ადამიანებისგან.

სტატისტიკური ანალიზი One way ANOVA-ს ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ისინი, ვინც ურთიერთობაში არიან ($M=113.42$; $SD=20.15$), სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მათგან, ვინც ურთიერთობაში არ არიან, თუმცა ყოფილან ($M=96.67$; $SD=21.97$) და ასევე მათგან, ვინც ურთიერთობაში არ არიან ($M=94.76$; $SD=23.66$), სტენბერგის სიყვარულის ვნების სკალის მიხედვით $F(2; 185) = 15.797$, $p < .001$. $Eta\ squared = .015$, რაც მიუთითებს ეფექტის მაღალ ზომაზე. კონკრეტულად, Post Hoc ანალიზის თანახმად, ურთიერთობაში მყოფი ადამიანების საშუალო ქულა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება ურთიერთობაში ამჟამად არმყოფი და არასდროს მყოფი ადამიანებისგან.

სტატისტიკური ანალიზი One way ANOVA-ს ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ისინი, ვინც ურთიერთობაში არიან ($M=122.71$; $SD=15.49$), სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მათგან, ვინც ურთიერთობაში არ არიან, თუმცა ყოფილან ($M=108.70$; $SD=16.71$) და ასევე მათგან, ვინც ურთიერთობაში არ არიან ($M=112.89$; $SD=15.33$), სტენბერგის სიყვარულის ერთგულების სკალის მიხედვით $F(2; 170) = 13.056$, $p < .001$. $Eta\ squared = .013$, რაც მიუთითებს ეფექტის საშუალო ზომაზე. კონკრეტულად, Post Hoc ანალიზის თანახმად, ურთიერთობაში მყოფი ადამიანების საშუალო ქულა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება ურთიერთობაში ამჟამად არმყოფი და არასდროს მყოფი ადამიანებისგან.

კორელაცია და რეგრესია. საკვლევ ცვლადებს შორის ძირითადი კორელაციები წარმოდგენილია ცხრილში #4.

ცხრილი #4. საკვლევ ცვლადებს შორის გამოვლენილი კორელაციები.

ცვლადი	n	M	SD	1	2	3	4	5	6	7
1.სტენბერგი	181	339.91	50.41							
2. მარტობა	191	44.31	10.60	-.098						
3. თვითშეფასება	191	32.70	6.91	.087	-.490**					
4. სოც. მხარ.-ოჯახი	192	45.55	11.71	.049	-.254**	.355**	-.156*			
5. სოც. მხარ. მეგობრები	139	39.65	5.95	-.030	-.325**	-.019	.195*	.367**		
7. სოც. მხარ.-რელიგია	192	8.62	4.54	.213**	-.119	.120**	-.146*	.351**	.087	
8. სოც. მხარ.-ნაკლებობა	187	10.74	3.90	.030	.335**	-.288**	.243**	-.499**	-.277	-.069

მრავლობითი იერარქიული რეგრესიული ანალიზი იქნა გამოყენებული იმის საჩვენებლად, თუ როგორ გავლენას ახდენს ოჯახის სოციალური მხარდაჭერა, მეგობრების სოციალური მხარდაჭერა და თვითშეფასება მარტობის განცდაზე. პირველადი ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ მონაცემები იყო ნორმალურად განაწილებული, წრფივი, ჰომოგენური და მულტიკოლინიარული. პირველი საფეხურისას გაირკვა, რომ ოჯახის სოციალური მხარდაჭერა და მეგობრების სოციალური მხარდაჭერა 12.7%-ით ხსნის მარტობის განცდას. თვითშეფასების მეორე საფეხურზე დამატების შემდეგ დადგინდა, რომ მოცემული მოდელი მარტობას 35.5%-ით ხსნის, $F(3; 135)=24.715; p<.001$. თვითშეფასების მონაცემს ჰქონდა უფრო მაღალი ბეტა მაჩვენებელი $Beta=-.518; p<.001$, ვიდრე მეგობრების სოციალურ მხარდაჭერას $Beta=-.358; p<.001$.

შედეგების ანალიზი

ჰიპოთეზა, რომ სტენბერგის ტრიანგულარული სიყვარულის მოდელის ქულები არ განსხვავდებოდა სექსუალური ორიენტაციის მიხედვით, გამართლდა. მიღებული შედეგი მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები, ხშირად სოციალურად სტიგმატიზებულნი არიან, რაც გულისხმობს ზოგად ნეგატიურ შეხედულებას ადამიანების მიმართ, რომლებიც ფლობენ ამ ჯგუფის გარკვეულ მახასიათებლებს ან არიან კონკრეტულად მათი ჯგუფის წევრი (Herek, 2015). რომანტიკულ ურთიერთობებში, ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდები განიცდიან სტიგმას, ცრურწმენას და დისკრიმინაციას, რაც გამოწვეულია ერთსქესიანთა ურთიერთობების ფართო სოციალური დევალვაციით (Frost, 2011).

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად აღმოჩნდა, რომ მარტობა მაღალ ნეგატიურ კორელაციაშია თვითშეფასებასთან. მარტობა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ხშირი და ურთიერთდაკავშირებული პრობლემებია ახალგაზრდებში

(Rotenberg & Vanhalst, 2013). ახალგაზრდობა არის პერიოდი, რომელიც ხასიათდება სოციალური სტიმულების მიმართ გაზრდილი მგრძობელობით და თანატოლებთან ურთიერთობის მზარდი მოთხოვნებით (Tomova & Blakemore, 2020). გარდა ამისა, ამ ასაკში ინდივიდუალიზაცია და იდენტობის ძიება ზრდის აღქმული სოციალური იზოლაციისა და მარტოობის გრძობის რისკს (Laurson & Hartl, 2013).

თვითშეფასება საშუალო დადებით კორელაციაშია რელიგიური ჯგუფისა და ოჯახის მხრიდან სოციალურ მხარდაჭერასთან. სოციალური მხარდაჭერა, ადამიანებისათვის შეიძლება იყოს ემოციური, ინსტრუმენტული ან ინფორმაციული მნიშვნელობის მქონე (Reevyl & Maslach, 2001). სოციალური მხარდაჭერის დაბალი დონე არაერთხელ იყო დაკავშირებული ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის ნეგატიურ შედეგებთან (Cohen et al., 2004). გრინბერგი და სხვ. (1983) ვარაუდობენ, რომ მშობლების მხრიდან სოციალური მხარდაჭერის გაზრდა ასოცირებული იყო უფრო მაღალ პატივისცემასთან მხოლოდ იმ მოზრდილებში, რომლებიც განიცდიან მაღალი დონის ცხოვრებისეული სტრესს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ სქესისგან დამოუკიდებლად, როდესაც მოზარდების სოციალური მხარდაჭერის დონე იზრდება, შესაბამისად, იზრდება მათი თვითშეფასების დონეც.

თვითშეფასება, როგორც ზემოთ ითქვა, ასევე, დაბალ დადებით კორელაციაშია რელიგიური წრის სოციალურ მხარდაჭერასთან. ტომსონისა და მისი კოლეგების კვლევაში, რელიგიურობას მოჰქონდა ისეთი სარგებლები, როგორცაა სოციალური ურთიერთობები, წმინდასთან შეხება. ხოლო, რწმენა იმისა, რომ ცხოვრებას მიზანი და მნიშვნელობა აქვს, იმპლიციტურად ახდენდა გავლენას თვითშეფასებაზე. კვლევამ აჩვენა, რომ რელიგიურობა ახდენს გავლენას თვითშეფასებაზე. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ეკლესიაში სიარულს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია თვითშეფასებაზე. თუმცა, ძლიერი რწმენა თვითშეფასებისათვის მნიშვნელოვანი პრედიქტორული ღირებულების იყო.

თვითშეფასება დადებით საშუალო კორელაციურ კავშირშია ოჯახის სოციალურ მხარდაჭერასთან და საშუალო ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია სოციალური მხარდაჭერის ნაკლებობასთან. აღქმული სოციალური მხარდაჭერა გულისხმობს სუბიექტურ წარმოდგენებს და შეხედულებებს ინდივიდების მიერ მიღებული სოციალური მხარდაჭერის შესახებ (Lakey & Scoboria, 2005). ოჯახისა და მეგობრების სოციალური მხარდაჭერა ამცირებს მარტოობის განცდას. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ოჯახისა და მეგობრების სოციალური მხარდაჭერა 12.7%-ით ხსნის მარტოობის განცდას. თვითშეფასების დამატებით კი იხსნება მარტოობის 35.5%. ბროკნერის (1988) პლასტიურობის ჰიპოთეზის მიხედვით, დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანები ხშირად უფრო მგრძობიარენი არიან სხვების შეფასებისა და სოციალური გამოხმაურების მიმართ, რაც გავლენას ახდენს მათ სოციალურ ურთიერთობებზე. აღნიშნულს მხარს უჭერს კვლევები, რომლებიც ეხება აღქმული სოციალური მხარდაჭერის შუამავალ როლს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდებში თვითშეფასებასა და განვითარების შედეგებს შორის კავშირში (Hui et al., 2018; Li et al., 2018; Xin et al., 2019; Chen et al., 2022).

სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ურთიერთობაში მყოფი და არ მყოფი ადამიანები სტენბერგის სკალაზე მიღებული ქულების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ უსაფრთხო მიჯაჭვულობის მქონე პირებს აქვთ რომანტიკული ურთიერთობები, მიდრეკილნი არიან ბედნიერებისკენ, აქვთ ურთიერთნდობა და დადებითი ემოციების უფრო მაღალი წილი (Hazan & Shaver in Kalamsari & Ginanjar, 2022). ზოგადად, შეიძლება

ითქვას, რომ პიროვნებას შეუძლია გავლენა მოახდინოს ურთიერთობაზე, პარტნიორზე და არა პირიქით (Brehm & McCrae in Indriani, 2014).

კვლევის ძირითადი მიგნებები და შეზღუდვები

ახალგაზრდებში არსებული ფსიქოსოციალური ფაქტორების კვლევამ აჩვენა, რომ მნიშვნელოვანი კავშირი არსებობს ინდივიდის თვითშეფასებასა და მარტოობის განცდას შორის, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სასიყვარულო ურთიერთობების შესახებ წარმოდგენებზე. აღმოჩნდა, რომ ოჯახის სოციალური მხარდაჭერა თვითშეფასების მნიშვნელოვანი პრედიქტორია. მარტოობა და ოჯახისა და მეგობრების სოციალური მხარდაჭერა ერთმანეთთან ნეგატიურად კორელირებს. მარტოობა და თვითშეფასება, ასევე, უარყოფით კორელაციაშია ერთმანეთთან.

ეს მონაცემები გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ ახალგაზრდებში ფსიქოსოციალური ტენდენციების პატერნი და ურთიერთგავლენა. კვლევა საჭიროებს დახვეწას, გავრცობასა და გამრავალფეროვნებას. თუმცა, მისი ამჟამინდელი შედეგები კარგი საფუძველია სამომავლო უკეთესი კვლევების დაგეგმვისა და ჩატარებისთვის.

კვლევის შეზღუდვები: კვლევის შეზღუდვებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეების ჯგუფში შეიმჩნეოდა არათანაბარი სქესობრივი გადანაწილება. კერძოდ, 192 რესპონდენტისგან, უმრავლესობა (69,8%) მდედრობითი სქესის იყო. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი კვლევა უკავშირდება ახალგაზრდების ფსიქოსოციალურ თავისებურებებს, სქესობრივი დისბალანსი მონაცემების რეპრეზენტატულობას ამცირებდა.

გამოყენებული ლიტერატურა

- A, A. (2008). *psychosocial stress, emotions and cytokine-related disorder*.
- F, D. (2016). Immunomodulation: exploiting the circle between emotions and immunity.
- Leung, L. (2002). *Loneliness, self-disclosure, and ICQ (" I seek you") use. CyberPsychology & Behavior, 5(3)*.
- Liu, Q., Jiang, M., Li, S., & Yang, Y. (2021). Social support, resilience, and self-esteem protect against common mental health problems in early adolescence: A nonrecursive analysis from a two-year longitudinal study. *Medicine, 100(4)*.
- Marni Feuerman, LCSW, LMFT. (2023, march 17). *Sternberg's Triangular Theory of Love*. Retrieved from verywellmind: <https://www.verywellmind.com/types-of-love-we-experience-2303200>
- Nabila, V., & Gunawan, M. C. (2023). THE RELATIONSHIP BETWEEN THE TRIANGULAR THEORY OF LOVE BY STERNBERG AND ROMANTIC RELATIONSHIP SATISFACTION IN THE EMERGING ADULTHOOD. *European Journal of Psychological Research, 10(1)*.
- Passyousofi, M. (2014). *Intimacy, Passion, and Commitment in Pakistani Women Living in Pakistan and the United States*.
- Thompson, M. S., Thomas, M. E., & Head, R. N. (2012). Race, socioeconomic status, and self-esteem: The impact of religiosity. *Sociological Spectrum, 32(5)*, , 385-405.
- University, A. (2015). Relationships. Gender: Psychological Perspectives. *5th*. Retrieved january 21, 2015, from <https://www.bricefoundation.org/single-post/2016/04/06/sternberg-theory-of-love-and-expectations-from-genders>
- van Tilburg, T. G., & de Jong Gierveld, J. . (2023). The concepts and measurement of social isolation and loneliness. *Loneliness and Social Isolation in Old Age, . 1*.

ნ.სუმბაძე; ა.ქიტიაშვილი; ე.ფირცხალავა; მ.მაისურაძე. (2012). *სოციალური კვლევის მეთოდები; თვითაღწერითი საზომები I*. თბილისი: ემპეკი.

Article received 2024-04-03